საქმე №3/8844-11

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმის წარმოებაში მიღების შესახებ

20.02.2012 ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე თამარ ონიანი

სხდომის მდივანი ანა ჩხიკვაძე

მოსარჩელე - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"
მოსარჩელის წარმომადგენლები - რინა ბუჯარაიძე, ირმა მახათაძე

მოპასუხე - საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
მოპასუხის წარმომადგენელი - თინათინ [illegible]

დავის საგანი - ქმედების განხორციელებაზე უარის დავალება

[illegible] ითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის საჯარო ინფორმაციის სახით საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ყველა იმ განკარგულების გადაცემის დავალება, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობასა და შპს "[illegible]ოექს ენერჯი ლიმიტედს" შორის 2008 წლის 14 მაისს დადებულ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 19 სექტემბერს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმის წარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურის უფროსს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადაში საჯარო ინფორმაცია მოსარჩელეს არ გადასცემია, რის გამოც 2011 წლის 6 ოქტომბერს წარდგენილ იქნა ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსთან. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დღემდე უცნობია მოსარჩელისათვის, რაც ფაქტიურად წარმოადგენს უარს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნულით დარღვეულია ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს კანონიერი უფლებები და ინტერესები, რის გამოც სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხის პოზიცია

2012 წლის 20 თებერვალს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა წარმოადგინა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება "ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", განმარტა, რომ აღნიშნული განკარგულება არის ერთადერთი განკარგულება დოკუმენტის სახით, ანუ ინფორმაცია, რომელიც დაცულია მათთან, განკარგულება მოსარჩელე მხარეს სასამართლო სხდომის დაწყებამდე გადაეცა, რის გამოც აღარ არსებობს დავის საგანი და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

3. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

3.1. 2011 წლის 19 სექტემბერს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმის წარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურის უფროსს. განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის ყველა იმ განკარგულების ასლის მისთვის გადაცემა, რომლებშიც ცვლილებები ან დამატებები შევიდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში.

3.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის შემდგომ, 2011 წლის 6 ოქტომბერს ასოციაციამ "მწვანე ალტერნატივა", წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსთან და მოითხოვა 2011 წლის 19 სექტემბრის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

3.3. წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს

რეაგირება არ მოუხდენია, რის გამოც ასოციაციამ "მწვანე ალტერნატივა" 2011 წლის 24 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოადგინა სარჩელი.

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოუსმინა მხარეებს, მიაჩნია, რომ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელზე აღძრული №3/8844-11 ადმინისტრაციული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება ჰქონდა კანონით დადგენილი წესით გაცნობოდა სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავდა სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს

დადგენილია, რომ მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრით, საჯარო ინფორმაციის სახით ითხოვდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა სამსახურისათვის 2011 წლის 19 ოქტომბრის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - პრეზიდენტის ყველა იმ განკარგულების ასლის გადაცემას, რომლებითაც ცვლილებები ან დამატებები შევიდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში.

ამრიგად, მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი, ვინაიდან სარჩელის წარმოდგენამდე ადმინისტრაციულმა ორგანომ არ განახორციელა ქმედება - არ გასცა მოსარჩელის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია.

დადგენილია, რომ სასარჩელო განცხადების სასამართლო წესით განხილვის პროცესში - 2012 წლის 20 თებერვალს მოსარჩელე მხარეს მოპასუხე მხარის წარმომადგენლის მხრიდან გადაეცა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება, რომლითაც ცვლილება შევიდა "ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში, თუმცა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულების ერთადერთ დოკუმენტად არსებობის და შესაბამისად, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის გაცემით დავის საგნის არარსებობის შესახებ მოპასუხე მხარის განმარტების მიუხედავად, მოსარჩელე მხარეს მიაჩნია, რომ არსებობს შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ სხვა დოკუმენტებიც, რომლებიც მოპასუხე მხარეს მათთვის გადასაცემად არ წარმოუდგენია (იხ. სასამართლო სხდომის ოქმი).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო განმარტავს შემდეგს:

საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების შესახებ მოსარჩელე მხარის მიერ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი განცხადების შინაარსით დგინდება, რომ მოთხოვნილია "პრეზიდენტის ყველა იმ განკარგულების ასლის მოსარჩელისათვის გადაცემა, რომლებითაც ცვლილებები ან/და დამატებები შევიდა საქართველოს პრეზიდენტის "ქ. თბილისის, რუსთავისა და მცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში". განცხადების შინაარსით არ დგინდება ის გარემოება, რომ დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი იყო 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში შესული ცვლილებების რაოდენობა, მიღების თარიღები და რეკვიზიტები, რის გამოც, მოთხოვნა ატარებდა ზოგად ხასიათს და გულისხმობდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ქმედების განხორციელების ვალდებულებას მხოლოდ მის მიერ მოძიებული შესაბამისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში.

ამრიგად, დადგენილია, რომ დაინტერესებულ მხარეს - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ განცხადებაში არ მიუთითებია უდავოდ რაიმე დოკუმენტის არსებობისა და აღნიშნულის მისთვის გადაცემის თაობაზე, შესაბამისად, მოსარჩელე მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტება იმის თაობაზე, რომ მისთვის ცნობილია ზემოაღნიშნულ განკარგულებაში სხვა ცვლილებების არსებობის თაობაზეც, არ არის შესაბამისობაში ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი

საჩივრის შინაარსთან, რომელზე რეაგირების არარსებობის გამოც იქნა აღძრული სარჩელი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა თავისი განმარტებით დაადასტურა, რომ მოსარჩელისათვის გადაცემული დოკუმენტის - "ქ. თბილისის, რუსთავისა და ქ.ცხეთის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულების გარდა მასთან საჯარო ინფორმაციის სახით არ არის დაცული სხვა დოკუმენტი, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში, ამასთან, მოსარჩელე მხარის განმარტება სხვა დოკუმენტების არსებობის შესაძლებლობის თაობაზე, სასამართლოს არ უქმნის მოპასუხე მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად გაუცემლობის დასაბუთებულ ვარაუდს და შესაბამისად, მისთვის ქმედების განხორციელების დავალებაზე მსჯელობის საფუძველს.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელე მხარისათვის გადაცემული საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულების გარდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ სხვა დოკუმენტის მასთან დაცვის შესახებ მოპასუხე მხარის განმარტება, საკმარისად უნდა იქნეს მიჩნეული გადაცემული დოკუმენტით მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გარემოების დადგენილად ცნობისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის ა[1] პუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არ არსებობს დავის საგანი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხემ განახორციელა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ქმედება - სრულად გასცა მის ხელთ არსებული საჯარო ინფორმაცია, რის გამოც სახეზეა დავის საგნის არარსებობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საქმის შეწყვეტის შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი აქვს ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით, შესაბამისად გადახდილი თანხის ნახევარი - 50 (ორმოცდაათი) ლარი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად, ხოლო 50 (ორმოცდაათი) ლარი უნდა დაუბრუნდეს მოსარჩელეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მეორე, მე-9, 24-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 284-285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ასოციაცია ,,მწვანე ალტერნატივას" სარჩელზე, მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიმართ, საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების თაობაზე, შეწყდეს საქმის წარმოება, დავის საგნის არარსებობის გამო;

2. განემარტოთ მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება;

3. ნათია ქსოვრელს დაუბრუნდეს მის მიერ 2011 წლის 24 ნოემბერს №1 საგადასახადო დავალების საფუძველზე, მოცემულ სარჩელთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარიდან 50 ლარი (ერთიანი ანგარიშის №200 122 900, სახელმწიფო ხაზინის კოდი №220 101 222, სახაზინო კოდი №300773150). დანარჩენი კი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი 7ა) ასლის მხარეთათვის გადაცემიდან 10 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მეშვეობით.

მოსამართლე **თამარ ონიანი**